



არაფერი ისე არ ამახსოვრდება ადამიანს, როგორც ბავშვობისას ძილისპირს დედის მიერ თქმული ზღაპარი, იავნანა, წაკითხული ლექსი, ან ამბავი რამე.

აღბათ ამაზე ფიქრმა დააწერინა გოგებაშვილს უკვდავი „იავნანამ რა ჰქმნა!“ და აღბათ ამის გამო ვბედავ მე იმის თქმას, რასაც ამ წერილში თუ აღსარებაში მოგახსენებთ. მე არ მახსოვს, რამდენი წლისას მიკითხავდა დედა „ვეფხისტყაოსანს“, ან ოდესმე ეთქვას ჩემთვის, ეს ადგილი ზეპირად ისწავლეო. მე მახსოვს მხოლოდ ის, რომ მაშინ კითხვა არ ვიცოდი და ეს უზარმაზარი წიგნი, „ვეფხისტყაოსანი“ რომ ერქვა, მხოლოდ ლამაზი, ფერად-ფერადი სურათებით გაწყობილი ყუთი იყო ჩემთვის, რომლიდანაც დედაჩემი ცისარტყელასავით ჭრელ, ლამაზ სიზმრებსა და ძილისმომგვრელ სიმღერებს ალაგებდა, მიწობდა სასთუმალს და აღბათ ისევე დედის გამოა, რომ ეს ლამაზი უკვდავი წიგნი დღემდე მიდევს სასთუმალს, როგორც:

ავადმყოფს — წამალი,
ხეიბარს — ყავარჯენი,

მეომარს — იარაღი და მწერალს ქართული სიტყვის თვალ-მარგალიტით სავსე, აუწონელი საუნჯე და სალარო.

მე ახლაც მიკვირს, წერა-კითხვის უცოდინარმა ბავშვმა როგორ ვისწავლე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ზეპირად:

აწ საყვარელსა მიუწერს გულ-ამოსკენილი, მტირალი,
მისმანვე ცრემლმან დაუვის, ვის ედებოდის, ვის, ალი.
დაწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი,
ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჰკვრალი.

ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონადეაწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი — ნალველსა ამონაწები,
მე გული შენი ქალაღდად გულსავე ჩემსა ვაწები;
გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები!

ადარაფერს ვამბობ „ავთანდილის ანდერძზე“, რომელიც საერთოდ ჩემ მიერ ქვეყნად რომელიმე ლექსის შექმნის უნარის მიღმა დგას.

ცნობილია, რაბინდრანატ თაგორის ლექსებს ბენგალიელი წერა-კითხვის უცოდინარი მეთევზეებიც კი მღერიან, მიუხედავად იმისა,



რომ უმრავლესობას მათი შინაარსი არ ესმის, მაგრამ იმდენი ღვთიური, ზეციური მუსიკაა შიგ ჩაქსოვილი, იმდენი სითბო და ისეთი სულშიჩამწვდომი იდუმალება, და ყოველივე ამასთან ერთად ისეთი გასაოცარი უბრალოება, რომ ლექსი თავისთავად მღერის და ვისაც უსაუბრია ამ ბენგალიელ მეთევზეებთან, ამბობენ, რომ მეთევზეები ირწმუნებიან, ყველაფერი გვესმის, ყველაფერს ვგრძნობთ, განვიცდით, ოღონდ ვერ ვამბობთო, და მე ძჯერა მათი...

აბა, ნახეთ, განა შეიძლება ქვეყნად იყოს რამე ამაზე გასაგები, ამაზე უბრალო, ამაზე სადა, ლამაზი და გენიალური?!

იყო არაბეთს როსტევეან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მალალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი, თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი.

ასე უმარტივესი, უბრალო და განსაცვიფრებლად სადა აკორდებით იწყება ბეთჰოვენის „მთვარის სონატაც“ და „აპასიონატაც“, რასაც შემდეგ მოსდევს აბობოქრებული, ყოელის უზენაესი, სულისა და გულის დამდუღებელი და წამლევავი ოკეანის მოვარდნა და მოქცევა...

ერთი რამ არის ფრიად საგულისხმო: ძველი ქართულის არასპეციალისტთათვის, ისევე უბრალო მოკვდავთათვის, როგორც მე ვარ და მრავალი ქართველია, არათუ მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის ქართული ენა, არამედ გაცილებით უფრო გვიანდელიც კი თითქმის გაუგებარია ლექსიკონის გარეშე. მაშ, რაღაშია საქმე, რატომ არის „ვეფხისტყაოსანი“ ასე გასაგები (რა თქმა უნდა, მე აქ არ ვგულისხმობ ცალკეულ დეტალებს, გამოთქმებსა და ღრმად ფილოსოფიურ აზრებს. ვგულისხმობ მხოლოდ ენას და ნაწარმოების სტრუქტურას) ყველა ქართველისათვის, დაწყებული გუთნისდღედიდან, ან თუში მწყემსიდან, ვიდრე ატომური რეაქტორის მაღალკვალიფიციური ინჟინრისათვის?

საქმე ისაა, რომ ალბათ რუსთაველი იყო პირველი ქართველი მწერალი, რომელიც მიხვდა, რომ მხოლოდ ხალხს შეუძლია მისცეს უკვდავება ლიტერატურულ ქმნილებას, რომ ხელოვნება მხოლოდ ხალხის საკუთრებაა, რომ მხოლოდ ხალხია განმსჯელი ლიტერატურული ქმნილების აკარგეანობისა და მხოლოდ ხალხს შეუძლია შეუნახოს შთამომავლობას სიტყვა წინაპრისა. და მან პირველმა მწერალთა, პოეტთა, მოშაირეთა შორის საქართველოში დაწერა თავისი გენიალური ქმნილება ხალხის ენაზე, საერო ენაზე, და სას-



წორზე დადო საკუთარი ლიტერატურული კარიერაც, კეთილდღეობაცა და შემოქმედებაც.

და თუ თვალს გადავაგვლებთ საუკუნეების მანძილზე „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო შექმნილ პოლემიკას და ბრძოლას მის წინააღმდეგ, ერთ-ერთი მთავარი ბრალდება რუსთაველის მიმართ სწორედ ის გახლავთ, რომ მისი ნაწარმოები საეროა და არა სასულიერო, არა მხოლოდ სამეფო სასახლის, ეტიკეტის, ტრადიციის ენაზე დაწერილი. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, თუ რატომ იქნა უარყოფილი თავის დროზე „ვეფხისტყაოსანი“. განა ამის გამო არ უარყო თავის დროზე კონსერვატულმა ინგლისმა კაცობრიობის სიამაყე შექსპირი, რომელმაც ლიტერატურაში ხალხის, დემოსის „ბაზრული“ სალაპარაკო ენა შემოიტანა?! და საყოველთაო საკუთრებად, ხალხის საკუთრებად აქცია თავისი გენიალური ქმნილებანი?!

აქ ორმხრივ ურთიერთგამდირებასა, გადარჩენასა და გაუკვდავებასთან გვაქვს საქმე. ისე, როგორც რუსთაველმა და შექსპირმა უკვდავვეს თავიანთი ენა და ხალხი, ისე უკვდავეო ხალხმა და ენამ მათი სახელები. განა ასე არ მოიქცა ქართველ განმანათლებელთა ჯგუფი ილიას, აკაკის, გოგებაშვილის, ვაჟას და სხვათა სახით, რომლებმაც, არც მეტი, არც ნაკლები, გადაგვარებას გადაარჩინეს ქართველი ერი და ენა მისი იხსნეს იმ კონსერვატიზმისაგან, რომელიც ელის ყველა ერის ენას, რომელიც ცდილობს ხელოვნურად შეაფერხოს ის ბუნებრივი პროცესები, რომლებიც თან სდევს კაცობრიობის განვითარებას, სხვადასხვა ცივილიზაციისა და ერის თანამშრომლობასა და ურთიერთობას.

ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა, ასეთი შეკითხვა მომცეს:

— როგორია როლი „ვეფხისტყაოსნისა“ თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარებასა და, საერთოდ, საქართველოს სულიერ ცხოვრებაში?

— ნაწარმოების შეფასებას, რომელიც აგერ რვა საუკუნის მანძილზე აძლევს სულიერ საზრდოს საქართველოს, და ვინ იცის, კვლავ რამდენ საუკუნეს იქნება იგი ჩემი ერის სულიერი საუნჯე, ამის ახსნას, არა მგონია, ჩვენი დღევანდელი შეხვედრის დრო ეყოს, და მართო ეს დრო კი არა, მთელი ჩემი სიცოცხლეც კი. და თუ თქვენ მე გიყვარვართ, თუ გჯერათ ჩემი, და თუ მთვლით მწერლად, რომლის სიტყვას რაიმე ფასი აქვს თქვენთვის, თქვენ პატიოსან სიტყვაზე უნდა მენდოთ, და უნდა დამიჯეროთ, რომ მსგავსი რამ კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია. ეს არის მზე, რომელიც ჯერჯერობით, საუბე-



დუროდ, საქართველოს ცაზე ბრუნავს მხოლოდ. და მე გულწრფელად მეცოდება და უბედურად მიმაჩნია ის კაცი, რომელსაც ქართულად არ წაუკითხავს „ვეფხისტყაოსანი“, ისევე, როგორც თქვენ, და მეც, რა თქმა უნდა, გვეცოდება და უბედურად მიგვაჩნია ის კაცი, რომელსაც პუშკინი არ წაუკითხავს რუსულად. — ასე ვუპასუხე და მომეჩვენა, რომ მათ დამიჯერეს.

კიდევ ერთი თვისების გამო უყვარს ხალხს „ვეფხისტყაოსანი“. თუ „ვეფხისტყაოსანი“ არ იცი, ძნელად დაგიჯერებს ვინმე, რომ ქართველი ხარ და ამ მხრივ იგი საოცრად „ამართლებს“ საკუთარ სენტენციას იმის შესახებ, რომ „შიში შეიქმს სიყვარულსა“. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა.

ჩემში ყოველთვის განცვიფრებას იწვევდა „ვეფხისტყაოსნის“ „პროლოგი“. თავისი გენიალობით, ყოვლისმომცველობით, განცვიფრებას იწვევდა მისი სასაუბრო ტონით, პათეტიკით, სიბრძნით, განწყობილებით, პარადოქსული, ერთი შეხედვით, არათანმიმდევრული იდუმალი სტრიქონებით, განსაცვიფრებლად უშუალო მსჯელობებით, ალბათ საყოველთაოდ ცნობილი, განსაკუთრებით დღეისათვის, ფაქტების და ჭეშმარიტების კონსტატაციით, ან მხოლოდ რუსთაველისა და კიდევ ვიღაც ერთისთვის თუ რამდენიმე კაცისათვის ცნობილი ფაქტების და დეტალების ახსნა-განმარტებით, და კიდევ იმით, რომ როგორ შეიძლება ასეთი პროლოგი ჰქონოდა ნაწარმოებს, რომელიც ჯერ არ იყო შექმნილი?! და მე მივხვდი, რომ პროლოგი არის თავისებური „კოდი“, რომელიც მაშინ მხოლოდ პროლოგის ადრესატსა და ზოგიერთ მის წამკითხველს უნდა გაეგო. ამიტომ მას ყოველმხრივ უნდა კვლევა და განჭვრეტა.

და, ჰა, მივაღევი სათქმელს. არასოდეს ეჭვი არ შემპარვია იმაში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „პროლოგი“ მისივე ავტორის დაწერილია, მაგრამ იმის ამოცნობა მუდამ მწვალებდა და მაინტერესებდა, როდის და რატომ დაიწერა „ვეფხისტყაოსნის“ „პროლოგი“ და არის თუ არა იგი საერთოდ „პროლოგი“ „ვეფხისტყაოსნისა“, თუ არის სულ სხვა რამ?!

ამ წერილმა შეიძლება უნდო, სკეპტიკური და ირონიული ღიმილი გამოიწვიოს სპეციალისტთა შორის, მაგრამ არ ვჩივი, მე ამ წერილს პოლემიკის წესით არ ვაქვეყნებ, არც რაიმე მეცნიერული კვლევისა და ნაშრომის პრეტენზიით, იგი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ინტუიციით ნაკარნახები მოსაზრებაა და თუ აქვს ამქვეყნად არსებობის უფლება, მხოლოდ და მხოლოდ როგორც პიპოთეზას. დრო იყო, ადა-



მიანებს სწავდნენ იმის გამო, რომ მათ დედამიწა მრგვალი ეგონათ, მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ახლა სხვა დროა და ადამიანებს ამისთვის არ წვავენ. მით უმეტეს, რატომ უნდა დაგახრჩოთ დღეს კაცი, რომელსაც დედამიწა მთლად მრგვალი არ ჰგონია?!

მაშ, ასე!

როდის და რატომ დაიწერა „ვეფხისტყაოსნის“ „პროლოგი“.

აქ გამოთქმული ჩემი მოსაზრებები მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ „პროლოგს“ ეხება, ამიტომ მათ დასასაბუთებლად მხოლოდ და მხოლოდ იმით ვიხელმძღვანელებ, რაც თვით „ვეფხისტყაოსნის“ „პროლოგში“ წერია.

დღეს აღარ არის სადავო, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თამარის ეპოქაშია დაწერილი. „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულმა ფრაგმენტებმა თუ ხელნაწერებმა (ისიც დაზიანებული სახით), როგორც ეს დღეს გარკვეულია, ჩვენამდე მხოლოდ XV-XVI საუკუნიდან მოაღწიეს. გამოდის რომ, სამი თუ ოთხი საუკუნის მანძილზე იგი უგზო-უკვლოდ იყო დაკარგული. ზემოთ თქმულთან ერთად მომდევნო საუკუნეებში „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო ამტყდარი ეგზომ დიდი კამათი და დავიდარაბა მაფიქრებინებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შოთას სიცოცხლეშივე იქნა დაგმოხილი და უარყოფილი, როგორც მავნე, საერო, ამორალური, არასაღვთო და მეფის კარისათვის შეუფერებელი ნაწარმოები — სასახლის არისტოკრატიის და, შესაძლებელია, თვით თამარისა და მეფე დავითის მიერაც კი, რა თქმა უნდა, კლერიკალური ეკლესიის გაკლენითა და დაბეზღებით, რომელთაც ბოლომდე ვერ გაშიფრეს პოემის ღრმა ფილოსოფიური აზრები.

უნდა ვივარაუდოთ, რომ, ყველა სიკეთესთან ერთად, თვით ავტორიც განკიცხულ და გაძევებულ იქნა სასახლის კარიდან.

თუ იმ საკითხების, დებულებებისა და ცნებების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლებსაც აშუქებს, იცავს და ამტკიცებს რუსთაველი „პროლოგში“, ადვილი მისახვედრია, რომ მას ბრალად ედებოდა:

1. მრუშობისა და სიძვის აპოლოგია;
2. ლექსისა და შაირის დოგმების დარღვევა;
3. უღმერთობა.

და კიდევ ერთი ყველაზე დიდი ბრალდება: ნაცვლად იმისა, რომ ნაწარმოები უნდა ყოფილიყო ქებათა ქება თამარისა და დავითისა — არის უცხო ამბავი, რომელშიც თამარი და დავითი არათუ ზოტბაშქსნმული (გგულისხმობ თვით პოემას), არამედ ნახსენებიც კი არ არიან.

სწორედ ამ სამმა თუ ოთხმა ბრალდებამ, რა თქმა უნდა, იმასთან



ერთად, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საერო ერთ იყო დაწერილი, განაპირობა მისი უარყოფა. ხოლო ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ასე ზეპირად შემონახა ქართველმა ხალხმა და თავად რუსთველის თქმისა არ იყოს, ხელიხელსაგომანები გახდა, გარდა იმისა, რომ საერო ერთ იყო დაწერილი, ალბათ იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ იგი აკრძალული იყო და კაცობრიობისათვის არ არის უცხო ლტოლვა ადამიანისა აკრძალული ხილისაკენ.

ჩემი ღრმა რწმენით, „პროლოგი“ დაიწერა მას შემდეგ, რაც „ვეფხისტყაოსანი“ უარყოფილ, დაგმობილ, დაწუნებულ იქნა და დაიწერა არა როგორც „პროლოგი“ და მხოლოდ „მოდერნება შაირობასა და მიჯნურობაზე“, არამედ როგორც, თუ თანამედროვე ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, განმარტება, საჩივარი, ბრალდებულის საბოლოო სიტყვა და ვედრება. მისი ადრესატია, ღმერთის გარდა, ან თვით თამარი, ან მეფე დავითი, ან ორივე ერთად, ან კიდევ ვიღაც მესამე უზენაეს ხელისუფალთა უახლოესი და მათ შემდეგ განუსაზღვრელ უფლებათა მქონე ადამიანი, რომელსაც შეუძლია უარყოფილი ნაწარმოებისა და ავტორის ბედის გადაწყვეტა.

„პროლოგი“ დაწერილია, თუ აქაც თანამედროვე ტერმინს ვიხმართ, იმ „ჟიურის“, იმ ხალხთა წრის, „ფრაქციის“ თუ დაჯგუფების წინააღმდეგ, რომელთაც „დაასმინეს“ რუსთაველი სასახლის კარზე, გააშავეს, გაწირეს და გაანადგურეს.

რუსთაველი წინასწარ გრძნობს, თუ რა დიდ ძალასთან მოუწევს შეჭიდება და, როგორც წესი, „ბრძოლის“ წინ ღმერთს ახსენებს, მეორე სტროფში კი პირდაპირ ევედრება მას:

ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა!
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილდე გასატანისა,
ცოდვათა შემსუბუქება, მუნ თანა წასატანისა.

ეს სტროფიც ჰგავს ერთი წაკითხვით ღმერთისადმი მიმართულ ტრადიციულ თხოვნას, რომ სატანისგან დამიფარეო, იმ სატანისაგან, რომელმაც თავის დროზე ადამი და ევა შეაცდინა, მაგრამ აქ რუსთაველი მხოლოდ მფარველობას კი არა, სატანის დათრგუნვის ძალას თხოვს ღმერთს და ეს „სატანა“ სწორედ ის ძალაა, რომელიც, ისევე როგორც ყოველ ადამიანს, ნიადაგ ებრძვის მას.

მესამე სტროფის საერთო აზრი ასეთია: ლომს, რომელსაც თამარის შუბისა და ფარის ხმარება შვენის, მას არც კი ვიცო, როგორი



ხოტბა შევკადრო.

მის მჭვრეტელს, მისდამი ტკბილეულის (ანუ ყანდის) მირთმევა მმართველსო.

შოთას შუბი და ფარ-შიმშერი ხატონად აქვს ნათქვამი, იგი გაღატანითი მნიშვნელობით სამეფო ხმაღს, მეფის სტატუსს ნიშნავს.

რალა თქმა უნდა, როდესაც თამარი თავის ქმარს, დავითს სალაშქროდ უშვებდა, საკუთარ, უზენაეს, შეუზღუდავ უფლებებს ანიჭებდა. ასე მაგალითად: „ლაშქრობდა დავით ბრძანებითა და გამორჩევითა თამარ სუეალექსანდრიანისათა“... ან: ბასიანის ბრძოლის წინ „მივიდა თამარ ვარძიას, ვარძიისა ღმრთისმშობლისა წინაშე და ცრემლით შევედრია დავით და სპა მისი; და დროშა მისი სვიანი და ბედნიერად მყოფი გაგზავნა ვარძიით“.

ამრიგად სტროფი:

„ვის შვენის? — ლომსა, — ხმარება შუბისა ფარ-შიმშერისა მეფისა შხის თამარისა“... — იმას კი არ ნიშნავს, რომ დავითი მეფე თამარის ლომია, არამედ იმას, რომ ლომს, ანუ დავითს შვენის თამარის ფარ-შიმშერის, ანუ სამეფო საჭურვლის, ძალაუფლების (ვიმეორებ, მხოლოდ ბრძოლის დროს) ხმარება, ტარება. შოთასაც ზომ ასე უწერია: ყოველგვარი ჩართული წინადადებების გარეშე, მარტივად და გასაგებად.

ვის შვენის, — ლომსა, — ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
მეფისა შხის თამარისა, ლაწვ-ბალახშ, თმა გიშერისა.
მას, არა ვიცო, შევკადრო შესხმა ხოტბისა შერისა?
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მიშერისა.

მესამე სტროფის მეოთხე ტაეპი ცოტათი მოულოდნელია, ასეთი ეპითეტების შემდეგ ლომს, მეფეს, ფარისა და ხმლის მატარებელს, და მეფის გვირგვინით თავდამშვენებულ ვაჟკაცს უცებ რალაც ყანდი უნდა მიერთვას. მაგრამ თუ ამ სტროფს და, საერთოდ, „პროლოგს“ იმ თვალთა და განწყობილებით წავიკითხავთ, როგორითაც მე ვკითხულობ, ყველაფერი მზესავით ნათელი გახდება, კერძოდ — თამარის ლომს, რომელსაც თამარის ხმლისა და ფარის ხმარება შვენის, რომელიც არც კი ვიცო, როგორი ხოტბის ღირსია, მის მჭვრეტელს ასეთი მწუხარე, სასმენად მწარე ამბის, შემაწუხებელი ამბის, საჩივრის მიტანა კი არა, ტკბილის, ყანდის მირთმევა (აღმოსავლური „თავახას“ მიხედვით), ანუ ტკბილი ამბის მოყოლა მმართველსო.

ხოლო მეოთხე სტროფში რუსთაველი დაბეჯითებით ამტკიცებს,



რომ მთელი „ვეფხისტყაოსანი“ მან მხოლოდ და მხოლოდ თამარის მშვენიერების შთაგონებით შექმნა:

თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული,
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

ცხადია, ეს სტროფი თავის მართლებაა იმ ბრალდებისაგან, თითქოს „ვეფხისტყაოსანში“ არ იყოს თამარის ქება.

მეხუთე სტროფში რუსთაველი ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკის გარეშე წერს:

მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწვობილისა,
გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

ესე იგი, მიბრძანეს, ანუ მიხოვეს, დამავალეს თამარის ქება ლექსად მეთქვაო.

როგორც მეხუთე სტროფის მეოთხე ტაეპიდან ირკვევა, რუსთაველს დიდხანს სთხოვდნენ დაეწერა ქებათა ქება თამარისა ლექსად. მე ხაზს ვუსვამ სიტყვას — ლექსად. და იგი დიდხანს ყოფილა უარხედ, შემდეგ კი, როგორც იქნა, დათანხმებულა და აკი წერს კიდევაც „გასტეხს ქვასაცა მაგარსა, გრდემლი ტყვიისა ლბილისა“.

როგორც ჩანს, სულ ბოლოს რუსთაველისათვის თვით თამარს უთხოვია, ან დავითს. ამიტომ დასჭირდა რუსთაველს ეს გენიალური მეტაფორა, რომელიც, სხვათა შორის, იდენტურია ტაეპისა:

გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

მოგეხსენებათ, ყველაზე მაგარ ქვას დედამიწაზე, ალმასს, ყველაზე რბილი ლითონით, ტყვიის უროებით ამუშავებენ, რათა წახნაგები არ დაუზიანონ. რუსთაველს სწორედ ამის თქმა უნდა ამ მეტაფორით. უარი არ გამოვიდა, გამტეხა ბოლოს ბრძანებამ, თხოვნამ და დავთანხმდით.

მხოლოდ ასე უნდა წავიკითხოთ მეხუთე სტროფი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჩვეულებრივ ხალხურ ლექსს დაემსგავსებოდა, სა-



დაც წინა ორ ტაეპს არავითარი ლოგიკური კავშირი არა აქვს მომდევნო ორთან. ამით რუსთაველი ძალიან მორიდებით ამბობს, რომ მე ჩემი ნებით არ დამიწერია ეს ნაწარმოები, თქვენი სურვილითა და ნებით დავწერეო.

მეექვსე და მეშვიდე სტროფები კვლავ ღმერთისადმია მიმართული და რუსთაველი კვლავ შეწევნას სთხოვს უფალს, „ვეფხისტყაოსნის“ დაცვის საქმეში.

მეცხრე სტროფი, რომელიც ფაქტიურად მეშვიდე სტროფის მეორე ნახევრიდან იწყება, „დავჯე, რუსთაველმან გავლექსე“... გადასაგდებად და „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოსაღებად კი არა, მე მთელი „ვეფხისტყაოსნის“ გასაღებად მიმაჩნია და ამიტომ მასზე უფრო ვრცლად შევჩერდები.

„ესე ამბავი სპარსული“ რომ არა სპარსულ ამბავს, არამედ სპარსულ სიუჟეტურ ქარგას ნიშნავს, ყველასათვის ცნობილი და გასაგებია, რადგან იმ დროისათვის მთელ აღმოსავლეთში და, კერძოდ, წინა აზიაში ამბის თხრობის რამდენიმე მოდელი არსებობდა, ერთ-ერთი მათგანი ასეთი იყო, — ნადირობის დროს მონადირენი ნახავდნენ უცხო მოყმეს, ან უცხო რამ წარწერას, ან წააწყდებოდნენ ვიღაცის კვალს, გამოეკიდებოდნენ მას და შემდგომ ამისა იწყებოდა გმირთა თავგადასავალი. და ასე იყო არა მხოლოდ ლიტერატურაში, არამედ მუსიკაშიც, აღმოსავლეთში არსებობდა და ახლაც არსებობს რამდენიმე მუსიკალური მულადი და თითქმის ყველა დანარჩენი მელოდიები ამ მულადების ვარიაციებია, ამ მულადებში ტრიალებენ. ამიტომ გვანან აღმოსავლური სიმღერები ასე ერთმანეთს, მაგრამ არავის აზრადაც არ მოსვლია ესა თუ ის სიმღერა სხვა რომელიმე სიმღერიდან გადმოწერილ, მოპარულ ან ნასესხებ სიმღერად ჩაეთვალა, ასე რომ „სპარსული ამბავი“ სწორედ ერთ-ერთი ასეთი ლიტერატურული მულადი, ანუ მოდელია.

დღემდე გაუგებრობას იწვევს მომდევნო ტაეპი:

ვაპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები...

მე მულამ მანცვიფრებდა ეს ტაეპი და კიდევ ერთი რამ: რაშია საქმე? ვინ აუკრძალა რუსთაველს ლექსის წერა? აკი თვითონ ამბობს: „მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“? ან რატომ ჩაიდინა მან, რუსთაველმა, საჭოჭმანები საქმე თუნდაც იმით, რომ გალექსა მანამდე პროზად ნათქვამი ამბავი. განა თარგმნილი არ იყო იმ დროს ქართულად „ვისრამიანი“? ან თუნდაც თარგმნა მაშინ განა



აკრძალული იყო? ან რისთვის, ან ვისთვის სჭირდებოდა რუსთაველს მოკლე და გრძელი შაირის დაპირისპირება? ერთი მხრივ, ქება და დიდება მოკლე შაირისა, მეორე მხრივ კი, ერთი შეხედვით, ყოველივე ამის გვერდით, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია მეთორმეტე სტროფიდან ვიდრე მეთორამეტემდე გაუთავებელი მტიკიცება გრძელი შაირის უპირატესობისა?

საქმე ისაა, რომ იმდროინდელ საქართველოში გრძელი ლექსი, გრძელი შაირი, ამბავი, ისტორია და რომანი ლექსად არათუ არ იწერებოდა, საერთოდ არ არსებობდა და უცხო იყო ქართული ლიტერატურისათვის. და ეს იმდენად ბუნებრივი იყო, რომ თვით „ვისრამიანიც“ კი, რომელიც დედანში ლექსადაა წარმოდგენილი, პროზად გახლდათ „ნათარგმანები“. ის ფაქტი, რომ ქართულ ლიტერატურაში რუსთაველამდე პოემა არ არსებობს, არ არის შემთხვევითი. საქართველოსათვისაც და რუსთაველისთვისაც „ვეფხისტყაოსანი“ პირველი ქართული პოემაა. აი, რატომ ჩაიდინა თურმე რუსთაველმა საჭოჭმანები საქმე. აი, რისი შიში აქვს მას, შიში, რომელიც, ჩვენდა საუბედუროდ, გამართლდა. რუსთაველი „ვეფხისტყაოსნით“ საქართველოში ახალ ლიტერატურულ ჟანრს ამკვიდრებდა, იგი ნოვატორია, ახალი ლიტერატურული ჟანრის შემომტანი, დამწერგავი, შემქმნელი და არ არის გასაკვირი, რომ მას, ისევე როგორც ყველა ნოვატორს, ყველა ეპოქასა და ყველა დროში ებრძოდნენ და უკან ეწეოდნენ. ამ სტროფის და ტაეპის მხოლოდ ასე წაკითხვის შემდეგ გახდა ჩემთვის ნათელი და გასაგები, ადრე ასევე გაუგებარი და ბუნდოვანი ტაეპი:

ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმა ნები.

ეს სტროფი იმ თაობის წინააღმდეგ არის მიმართული, რომელმაც რუსთაველს ეს საქმე დანაშაულად ჩაუთვალა, მაგრამ რუსთაველი არ ღებულობს მათგან ბრალდებას მათი არაკომპეტენტურობისა გამო, იგი მხოლოდ თამარისაგან, ანუ მისი ხელ-მქმნელისაგან, მოითხოვს სასჯელს, იგი მხოლოდ მის ნებას დაემორჩილება და მოიქცევა ისე, როგორც თამარის ნება იქნება, ანუ როგორც თამარს ენებოსო.

აი, ეს სტროფიც თავიდან ბოლომდე:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელი-ხელ საგოგმანები,



ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმა ნები.

რაც შეეხება მერვე სტროფს, არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე მეცხრე. რუსთაველი ამ სტროფში აშკარად ჩივის უზენაესთან, რომ იგი, რუსთაველი, ხელობით, ანუ სიმშაგით ამიტომ სჩადის ამ საქმეს და იმიტომ ხელობს იმისათვის, ვისაც ჯარი სპათა ჰმორჩილებს, ანუ იმიტომ აწუხებს მას, რომ დაუძღვრდა ამდენ ბრძოლაში, მისთვის, გამიჯნურებულისთვის წამალი არსით არი, და მან, ანუ თამარმა, ან მისცეს განკურნება, ესე იგი, ან უშველოს, ან მოკლას, დაამიწოს და დაასამაროს მისივე ხელით.

მე, რუსთაველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი;
ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვლარი,
დაუძღვრდი, მიჯნურათთვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

სხვათა შორის, პირველი ტაეპის ბოლო ფრაზა, ჩემი აზრით, ამა დარი არავითარ ლიცენციას არ წარმოადგენს სიტყვისას ამა დარსა. ეს გადამწერის უბრალო შეცდომაა და იგი ასე უნდა იკითხებოდეს — ამა დარი, ანუ — (ამიტომ) და თუ ამ ტაეპს ასე წავიკითხავთ, ყველაფერი გასაგები გახდება.

მე, რუსთაველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი, ანუ: მე რუსთაველი ხელობითა, სიმშაგითა ამიტომ ვიქმ საქმესო.

მეთავე სტროფი „პროლოგში“ არის ვედრების აპოთეოზი, ეს გახლავთ მზე ჩამქრალი, განწირული, გაუბედურებული, გაძევებული, უპატრონოდ დარჩენილი და მეფე ლირივით ყველასაგან მიტოვებული კაცის გოდება.

თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა;
აჰა, გული გამიჯნურდა, მიხედომია ველთა რბენა!
მიაჯეთ ვინ, ხორცთა დაწვა კმარის, მისცეს სულთა ღხენა.
სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა.

ესე იგი, ჩემს თვალებს მისგან, თამარისაგან, ანუ მისი უყურადღებობისაგან სინათლედაკარგულებს, მოენატრათ (ენატრამცა) და არა ინატრონ, ახლად ჩენა, ანუ კვლავ ახელა, სინათლის დაბრუნება. აჰა, გამიჯნურებულ, ანუ გაშმაგებულ გულს ველად გაჭრა ხედომია



წილად. მეაჯეთ ვინმე, ვინმემ შემიწყალოს, გამომექომაგოს! მაკმაროს ხორცთა დაწვა და მისცეს სულს ჩემსას ლხენა! დროა ჩემს სამხმოვან სიმღერას (აქ ან სამებაა ნაგულისხმები, ან ტარიელი, ფრიდონი და ავთანდილი), პიმნს, საგალობელს თავისი ადგილი მიუჩინოს, ანუ გამოავლინოს მისი ღირსებაო. აქ ვლენა მოწოდებას კი არა, გამოვლენას, გამოჩენას გულისხმობს.

და ყოველივე ეს თუ ასე არაა, როგორც მე ვკითხულობ, მაშინ გაუგებარია, რამ აიძულა რუსთაველი მიჯნურობისა და შაირობის მოძღვრების, ტრაქტატის წერისას ასეთ დღეში ჩავარდნილიყო, ან ასეთი ტანჯვა-ვაება და მწუხარება ვინ მიაყენა მას შემოქმედების პროცესში? რაშია საქმე? მართლ ამ წერილის კითხვისას კი არა, „პროლოგის“ და საერთოდ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვისას კიდევ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი — სიტყვა მიჯნურს რუსთაველი ასე განმარტავს:

— მიჯნური — შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითაო, — ამიტომ ზოგან, სადაც მიჯნური წერია, შმაგი უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო ზოგან პირიქით, შმაგის მაგიერ — მიჯნური. ასეთ შემთხვევაშიც ბევრი რამ უფრო მარტივი და იოლი გასაგები გახდება.

პროლოგის მეთერთმეტე სტროფი სავესა სარკანზით იმ „არაკომპეტენტური ჟიურის“ მიმართ, რომელმაც უარყო მისი ნაწარმოები.

როგორც ჩანს, მაშინაც შეპყავდათ „ჟიურის“ არასპეციალისტები, მაგრამ თანამდებობის პირები. არ არის გამორიცხული, რომ იგი სწორედ იმ არაკომპეტენტურ პირებს გულისხმობს მუშაკებსა და მეომრებში.

სწორედ ამის გამო წერს რუსთაველი:

რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს;
მუშა მიწვივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
კელა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს,
არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვასა უწუნობდეს.

ესე იგი, ღმერთმა ყველას თავისი საქმე მიუჩინა და რაც ბედმა მისცა, იმით დაკმაყოფილდეს, მუშა მუდამ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს, მიჯნური მიჯნურობას ატყობდეს სხვა გამიჯნურებულს, ანუ მიჯნური სხვა მიჯნურს სცნობდეს, პატივს სცემდესო, არც სხვისაგან იქნეს დაწუნებული და სხვასაც ნუ დაუწუნებს, ანუ სხვა, საქმის არამცოდნეს არ მისცეს უფლება მისი პროფესია დაუწუნოს და სხვასაც ნუ დაუწუნებს იმას, რაც თავად არ იცის და არ



ესმისო. თავს სასაცილო მდგომარეობაში ნუ ჩაიგდებლო. სხვანაირად რომ ვთქვათ, სტროფის აზრია: ლექსის წერა ჩემი საქმეა და თქვენ, სხვები, ისეთ საქმეში, რაც არ იცით, ნუ ერევითო.

„ვეფხისტყაოსნის“ „პროლოგში“ რუსთაველი აშკარად დასცინის იმათ, ვისაც მონაწილეობა მიუღია „ვეფხისტყაოსნის“ განქიქებაში, ან რამე უკეთური დასცდენიათ მის წინააღმდეგ. იგი დაუნდობლად დასცინის იმათაც, ვისაც უცდია თავისი ნაცოდვილარი შეედარებინა ან დაეპირისპირებინა „ვეფხისტყაოსნისათვის“.

მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი;
თავი ყოლა ნუ ჰგონია მეღექსეთა კარგთა სწორი;
განადა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
მაგრა იტყვივ: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯორი.

და სხვა უამრავი.

უკვე მოგახსენეთ და კვლავ შეგახსენებთ, მეთორმეტე სტროფიდან იწყება აპოლოგია გრძელი შაირისა და იგი გრძელდება ვიდრე მეთვრამეტე სტროფამდე, და ეს სჭირდება რუსთაველს არა იმისთვის, რომ დამწევბ პოეტებს თუ ყმაწვილ მოღვექსეებს ასწავლოს გრძელი და მოკლე შაირის რაობა, წერის ტექნიკა, რიტმი, რითმი და დინამიკა (მოძღვრება თუ გნებავთ, ასე უნდა იყოს, თორემ შაირის სიგრძეზე და სიმოკლეზე ლაპარაკი რა მოძღვრებაა). არა, იგი ამკვიდრებს ქართულში ახალ ჟანრს, პოემას და ამით ამართლებს იმ საჭოჭმანო საქმეს, რომელიც ერთ-ერთ მძიმე ბრალდებად წაუყენეს მას.

მეცხრამეტე სტროფი სულ ცალკე დგას „პროლოგში“. იგი ერთგვარი განმეორება და გამოძახილია მეოთხე სტროფისა „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული, ვთქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული...“ და მას გასაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა ენიჭება, თუ ერთ ფრიად საყურადღებო დეტალს გავიხსენებთ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების ისტორიიდან:

„ანტონ კათალიკოსს თავის გრამატიკაში მოყვანილი ყავს ციტატი, როგორც ნიმუში ამაღლებული მაღალფარდოვანი სტილისა. ანტონი იქვე მიუთითებს, რომ მას ეს ციტატი აუღია „წერილთაგან შოთასთა, რომელ აღწერა ცხოვრებაი მეფის თამარისა“.

თუ ეს მართლაც მართალია, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ შოთა მეოთხე სტროფშიც, და განსაკუთრებით კი მეცხრამეტეში, სწორედ იმ ნაშრომს, მის მიერ დაწერილ თამარის ქებათა ქებას, ისტორიას გულისხმობს, რომელიც აღრე დაუწერია მას პროზად და



არა ლექსად, რომელიც ხელთ ჰქონია ოდესღაც ანტონ კათალიკოსს და რომელიც ამჟამად დაკარგულია ჩვენდა საუბედუროდ.

ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიხს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.

ანუ — შეიტყვეთ ყველამ, რომ ამ პოემაში კვლავ ვაქებ იმას, ვინც ადრე მიქია, და მიქია ისე, რომ თავი არ შემირცხვენია, რაც დიდ სახელად მიმაჩნია. და რაც შეეხება იმ ბრალდებას, თითქოს თამარს არ ვაქებდე, ტყუილია, რადგან, ვინც გულდასმით წაიკითხავს ჩემს ნაწარმოებს, მიხვდება, რომ მისი სახელი ქვემორე, ანუ პოემაში შეფარვით მაქვს ნათქვამი და ვაქებო.

და მართლაც, ნესტან-დარეჯანი ვიღა არის, თუ არა თამარი? ან თინათინი ვიღა არის, თუ არა თამარი?

მე მგონი, ყველაფერი კვლავ მზესავით ნათელი ხდება.

მეოცე სტროფიდან რუსთაველი იწყებს და ბოლო სტროფამდე ცდილობს მისადმი წაყენებულ ყველაზე მძიმე დანაშაულის გაბათილებას, კერძოდ, იმ ბრალდებისას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არის თხზულება მრუშობასა და სიძვანზე. როგორც ჩანს, რუსთაველის ეპოქაში და ცოტათი მოგვიანებითაც საქართველოში სიტყვა „მიჯნური“ გაიგივებული იყო სიძვანსთან, მეძავებთან, ისევე, როგორც სიტყვა ბოზი (ლამაზი) ღღემდე მეძავის სინონიმი ჩვენში. ალბათ ამიტომ დასჭირდა რუსთაველს, უმეცარათავის არათუ აეხსნა, რაა მიჯნურობა, არამედ ლექსიკონური განმარტებაც კი მიეცა ამ სიტყვისა:

„მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულისა ენითა“-ო.

ალბათ ამითვე აიხსნება ის ფაქტი, რომ მეოცე სტროფიდან ვიდრე ბოლომდე, რუსთაველი ასე თავგამოდებით იცავს, განმარტავს და ამტკიცებს, რომ:

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი.
ნუვინ გარევთ ერთმანერთსა! გესმის ჩემი ნაუბარი?

გულუბრყვილობა იქნებოდა ჩვენგან იმის ფიქრი, რომ რუსთაველი



ქართველ ხალხს და მკითხველს უმიზეზოდ განუმარტავდა მიჯნურობის არსს. თუ არადა, მაშინ უნდა ვიფიქროთ (დმერთმა დაიფაროს), რომ მთელი საქართველო შოთას დროს სიძვისა და მრუშობის ჭაობში იყო ჩაფლული და იგი მუხლზე დაცემული და ხელაპყრობილი ევედრება მათ:

იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნუვინ გარევთ ერთმანერთსა! გესმას ჩემი ნაუბარი?

ეჭვს გარეშეა, რომ შოთა ამას სწორედ იმათ ეუბნება, ვინც „ვეფხისტყაოსანი“ მრუშობისა და გარყვნილების აპოლოგიად მონათლა.

ხემოთაც ვთქვი და ვიმეორებ, მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი მოძღვრებაა მხოლოდ შაირობასა და მიჯნურობაზე — სწორი არ გახლავთ. ეს ფუნქცია და შინაარსი მას მხოლოდ მადლიერი შთამომავლობის მიერ დაეკისრა და „დაბრალდა“ მისი, ანუ პროლოგისა და თვით პოემის აღმოჩენისა და აღიარების შემდეგ, და „დაბრალდა“ სრულიად დამსახურებულად, რადგან მართლაც ძნელია წარმოიდგინოს ადამიანმა უფრო გენიალური, უფრო ამაღლებული მოძღვრება ლექსისა და მიჯნურობის შესახებ.

ამრიგად:

ჩემი ღრმა რწმენით, „ვეფხისტყაოსნის“ „პროლოგი“ ანუ „დასაწყისი“, სულ ბოლოს, ანუ მას შემდეგ დაიწერა, რაც „ვეფხისტყაოსანი“ უარყოფილ, დაგმობილ და განკიცხულ იქნა და დაიწერა არა როგორც დასაწყისი, შესავალი, წინასიტყვაობა, პროლოგი ან მოძღვრება შაირობასა და მიჯნურობაზე, არამედ დაიწერა როგორც ცამდე მართალი, მაგრამ მაინც ბრალდებული კაცის საბოლოო სიტყვა, კლერიკალური ეკლესიისა და სამეფო კარის გონებადამსუფთავებელი, კარიერისტთა და ფარისეველთა მიერ შეუცნობელი, ან განგებ შეუცნობელი გენიოსის, უდიდესი ხელოვანის, ნოვატორის ღაღადისი უხენაესის წინაშე. ასევე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ ეს გახლდათ მიზეზი რუსთაველის პალესტინაში გადახვეწისა.

სწორედ ამიტომ არის იგი მუხლმოდრეკილი და ცისკენ ხელაპყრობილად გამოსახული ჯვრის მონასტრის კედელზე, ვითარცა უდიდეს ცოდვათა მონანიების მთხოვნელი.

და თუ მართლა ცოდვა რამ ჰქონდა ჩადენილი დიდ რუსთაველს, დაე, შეუნდოს ღმერთმა!

თუმცა რა აქვს შესანდობარი, როდესაც კაცობრიობის გაჩენის



დღიდან არც ღმერთისთვის, არც სიყვარულისთვის, არც მეგობრობისთვის, არც ვაჟკაცობისთვის, არც ქალისთვის, არც კაცისთვის, არც მზისთვის, არც ცისთვის, არც დედამიწისთვის ასეთი დიდებული ჰიმნი ჯერ არავის არ უმღერია!

P. S. მინდა ჩემმა დაღლილმა მკითხველმა ისიც იცოდეს, რომ ვიდრე ამ წერილის დაწერას გავბედავდი, უამრავი ლიტერატურა გადავიკითხე „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო დაწერილი, უამრავი ღამე გავათენე უძილოდ და ბოლოს გადავწყვიტე, ეს ჩემი ნაფიქრალი მაინც მეთქვა მისთვის. ასევე ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, არც ერთი წყარო და სხვისი აზრი არ დამემოწმებინა ჩემი აზრის განსამტკიცებლად, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი ცოტათი მაინც უახლოვდება ჩემს მოსაზრებას და ამაგრებს ჩემს პოზიციებს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს აზრი დამებადა უფრო ადრე, ვიდრე სპეციალურ ლიტერატურას გავეცნობოდი, ხოლო მეორე, ამით კიდევ ერთხელ მინდოდა ხაზი გამესვა იმ გარემოებისათვის, რომ, თუ ვინმეს რამე აინტერესებს „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის გარშემო, ყველაზე უკეთ თვით „ვეფხისტყაოსნისა“ და მის „პროლოგში“ წერია.



ჩვენი საუნჯე

როცა რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონისა და გოგლას ღვთაებრივ ლექსებს ვკითხულობ, გასაკვირია, მაგრამ სულ მუდამ ღაღა ასათიანის ერთი უბრალო ლექსის სტრიქონები მაგონდება:

კავკასიის მთებში გაგაჩინა ზენამ,
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ.

ხოლო როდესაც საქართველოს ისტორიას ვკითხულობ, ქართლის ცხოვრებას ვკითხულობ და ქართულ ტაძართა ნანგრევებზე საჭრეთლით ამოქარგულ ჩუქურთმასა და ასოებს ვეჭვიდები წასაკითხად, ირაკლი აბაშიძის დიდებული ლექსი მაგონდება:

ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო,
ხან — ფუნჯო ჩემო, ხან — საჭრეთელო,
შენ, აკენის ჰიმნო,
ცრემლო სამარის...
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დეღაო ენავ, დეღაო ენავ!

დედაენას კი, რაკი დედა ჰქვია, მახსოვრობა აღარ სჭირდება, თუ კაცი ხარ და არა პირუტყვი — ენა დედაა შენი და მუდამ უნდა გახსოვდეს, უნდა უკვდავყო იგი, როგორც შეგიძლია და რითაც შეგიძლია.

ეს ამბავი მოყოლილი მაქვს, მაგრამ ერთხელაც მოგვეები, რადგან მისი აქ მოყოლა უფრო უპრიანია.

ჩემს ოჯახში ერთი უძვირფასესი წიგნი — რელიკვია ინახებოდა, ეს წიგნი გოგებაშვილის „დედაენა“ გახლდათ, „დედაენა“, რომლითაც ჩემი დედა სწავლობდა და რომელსაც მე მიკითხავდა ბავშვობაში, ვიდრე სკოლაში წავიდოდი. იმიტომ კი არა, რომ „დედაენის“ გაჭირვება იყო ჩვენს ოჯახში, არა, იგი შელოცვილი აკვანივით გაღადიოდა თაობიდან თაობაში და ისე გაცრეცილი, ფურცელ-ფურ-